



შემოსავლების
სამსახური

გზამკვლევი



მოგების გადასახადის ყოველთვიური
დეკლარაცია

ურთიერთობა მარტივია

ვის ეგზოლება მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს დეპლარაციის წარდგენა?

მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს
ნარულებენს:

- რეგისტრი საწარმო და არარეგისტრი საწარმო, რომელიც საქართველოში
საქმიანობს მედმივი დაწესებულების მემკვებით;
- ორგანიზაცია, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობას ეწევა.

რა ვადაში ხდება დეპლარაციის წარდგენა და გადასახადის გადასდა?

საწარმო მოგების გადასახადის დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს
ნარულებენს ყოველთვიურად არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15
რიცხვისა და ამავე ვადაში გადაიხდის მოგების გადასახადის.

რა მონაცემები აისახება მოგების გადასახადის ყოველთვიურ დეპლარაციაში?

მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის ელექტრონული ვერსია
შედგება ძირითადი ნაწილისა და დანართებისაგან.

დეკლარაციის ძირითადი ნაწილი იქსება მოგების გადასახადის
გამოანგარიშების მიზნით. მასში აისახება მონაცემები, მათ შორის:

- მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტების შესახებ;
- მოგების გადასახადისგან გათავისუფლებული მოგების განაწილების,
განეული ხარჯის, განხორციელებული განაცემის შესახებ;
- ჩასათვლელი, კუთვნილი ან დასაბურუებელი მოგების გადასახადის შესახებ.

რა პრის საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტები, რომელიც უნდა აისახოს დეპლარაციაში:

საწარმოსათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

I. განაწილებული მოგება - მოგება, რომელიც საწარმოს მიერ მის პარტნიორზე
დივიდენდის სახით, ფულადი ან არაფულადი ფორმით ნაწილდება.

მოგების განაწილებად განიხილება აგრეთვე ურთიერთდამოკიდებულ პირთან
(გარდა იმ პირისა, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება მოგების
განაწილებისას), ასევე მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულ პირთან
განხორციელებული ოპერაციების შედეგად საბაზო ფასებთან შედარებით
მიუღებელი შემოსავალი ან ზედმეტად განეული ხარჯი;

მოგების განაწილებად არ განიხილება „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის
მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ პირზე (გარდა ინდივიდუალური
საწარმოსა და მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისა) აივიდენდის
განაწილება, გარდა კომერციულ ბანკზე, საკრედიტო კავშირზე, სადაზღვევო
ორგანიზაციაზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაციაზე და სესხის გამცემ სუბიექტზე
დივიდენდის განაწილებისა. საწარმოს მიერ უცხოური საწარმოსგან (გარდა
შეღავათაინი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში ოეგისტრირებული პირისა) მიღებული
დივიდენდის განაწილება.

ასევე, მიღებული დივიდენდის შემდგომი განაწილება, უცხო ქვეყნის
კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი კორპორაციების, კომპანიების, ფირმების
და სხვა მსგავსი პირების მიერ (გარდა უცხოური საწარმოს მედმივი დაწესებულებისა),
რომელსაც მართვის ადგილი გადმოტანილი აქვს საქართველოში.

არარეგიდენტი საწარმოს მუდმივი დაწესებულებისათვის განაწილებულ მოგებად ითვლება ამ შედმივი დაწესებულების საქმიანობის შედეგად მიღებული მოგებიდან არარეგიდენტი საწარმოსათვის ფულადი ან არაფულადი ფორმით განხორციელებული განაცემი (არარეგიდენტი საწარმოს მიერ მისი მუდმივი დაწესებულებისთვის მიკუთვნებული მოგების გატანა).

II. განეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული არ არის და არ არის გადახდის წყაროსთან დაბეგრილი. მათ შორის:

დოკუმენტურად დაუდასტურებული ხარჯი; მიკრო ბიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკური პირისაგან სასაქონლო ზედნადების გარეშე შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე განეული ხარჯი; ფიქსირებული გადასახადის გადამხდელის სტატუსის მქონე პირისაგან ამ გადასახადით დასბეგრი საქმიანობის ფარგლებში შეძენილ საქონელზე/მომსახურებაზე განეული ხარჯი; საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დადგენილი ნლიური პროცენტის ფარგლების ზემოთ კრედიტისათვის (სესხისათვის) გადახდილი პროცენტი;

მოგების გადასახადით იბეგრება აგრეთვე:

- ▶ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე საგადასახადო კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის გადახდილი პირგასამტებლო ან/და სხვა კანისა, წარმოშობილი სახელშეკრულებო ურთიერთობიდან; ავანსის გადახდა; სესხის გაცემა ან/და ამ პირის მიმართ არსებული მოთხოვნის შესაძენად
- ▶ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად განხორციელებული გადახდა;
- ▶ შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის მიერ გამოშვებული სასესხო ფასიანი ქაღალდის შესაძენად გადახდა;
- ▶ გარალი, რომელიც წარმოშობილია შეღავათიანი დაბეგვრის მქონე ქვეყანაში რეგისტრირებული პირისათვის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირისათვის მოთხოვნის უფლების გადაცემით ან მოთხოვნის უფლებაზე უარის თქმით;

▶ არარეგიდენტის, აგრეთვე ამ კოდექსის შესაბამისად მოგების გადასახადისაგან გათავისუფლებული პირის კაპიტალში შენატანი ან აქციის/წილის შესაძენად განხორციელებული გადახდა (გარდა უცხო ქვეყნის აღიარებულ საფონდო ბირჟაზე განთავსებული აქციისა/წილისა);

▶ ფიზიკურ პირზე ან არარეგიდენტზე სესხის გაცემა;

▶ პარტნიორი ფიზიკური პირის ან პარტნიორი არარეგიდენტის მიერ მესამე პირისგან აღებული სესხის უზრუნველსაყოფად საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სასსრები.

თუ მოხდა გაცემული სესხის/გადახდილი აგანსის თანხის დაბრუნება ან გადახდილი აგანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღება, პირი უფლებამოსილია სესხის/აგანსის თანხის დაბრუნების ან საქონლის/მომსახურების ფაქტორივად მიღების საანგარიშო პერიოდში დაბრუნებული თანხის ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციო თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით ჩაითვალოს და ამ კოდექსით დადგენილი წესით დაიბრუნოს ადრე გადახდილი მოგების გადასახადის თანხა.

III. უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების განევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა გარდა:

- კალენდარული წლის განმავლობაში საქველმოქმედო ორგანიზაციაზე გაცემული შემონიღულება, რომელიც არ აღმატება შის მიერ წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული წმინდა მოგების 10 პროცენტს;
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების განევა ან ფულადი სახსრების გადაცემა, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსის 154-ე მუხლის შესაბამისად დაბეგვილით გადახდის წყაროსთან;
- სახელმწიფოსათვის, მუნიციპალიტეტებისათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების განევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა;
- საქველმოქმედო ორგანიზაციისათვის უძრავი ქონების უსასყიდლოდ მიწოდება, თუ ამ ქონების მიმღები ორგანიზაცია ქველმოქმედებას ახორციელებს ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ან/და შეკვეთრად და მისმენელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მისართ არანაკლებ ბოლო 3 კალენდარული წლის განმავლობაში;
- თავდებობის, აგრეთვე სერვიტეტის მომსახურების უსასყიდლოდ განევა.
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება, მომსახურების განევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა იმ პირისათვის, რომელიც მოგების გადასახადით იბეგრება სსკ-ის 97-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული დაბეგვრის ობიექტების მიხედვით.

შენიშვნა:

- უსასყიდლოდ არ განიხილება საქონლის/მომსახურების მიწოდება, თუ მისი მიზანია შეგების, შემოსავლის ან კომპენსაციის მიღება;
- სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ან/და ძირითადი საშუალების დანაკლისი ითვლება მისი გამოვლენის მომენტი ამ საქონლის უსასყიდლოდ მიწოდებად.

IV. წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღმატება წინა კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული შემოსავლის/განეული ხარჯის (თუ განეული ხარჯი აღმატება მიღებულ შემოსავალს) 1 %-ს.

შენიშვნა:

- კომერციული ბანკი, საკრედიტო კავშირი, სადაზღვევო ორგანიზაცია, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და სესხის კავშირი სუბიექტი მოგების გადასახადით ამ დაბეგვრის ობიექტის მიხედვით იბეგრებან 2023 წლის 1 იანვრიდა.
- ტრანსპორტული სისტემურ-ელექტრონული ფირმით მოწყობის შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი აღნიშნული საქმიანობის განილები არის საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფასის კამი, რომელიც იბეგრება 7%-იანი განაკვეთით.
- არარეზიდენტი სანარმო, რომელიც საქართველოში საქმიანობას მუდმივი დანესტებულების მეშვეობით პარტნერებს, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია მისი მეშვეობი დანესტებულების საქმიანობიდან გამომდინარე, ამ არარეზიდენტი სანარმოს ან მუდმივი დანესტებულების მიერ განხორციელებული განაცემი/განეული ხარჯი, რომელიც მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია.

რა არის ორგანიზაციისათვის მოგების გადასახადით დაბეგვრის მიმღებები, რომელიც უნდა აისახოს დეპლარაციაში:

ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს ეკონომიკურ საქმიანობას, მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია:

- განეული ხარჯი ან სხვა გადახდა, რომელიც არ არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან ან/და არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან (მათ შორის, არ არის დაკავშირებული საქველმოქმედო საქმიანობასთან ან არ გამომდინარეობს გრანტის სელექციულების შემთხვევაში);
- უსასყიდლოდ საქონლის მიწოდება/მომსახურების განევა ან/და ფულადი სახსრების გადაცემა, თუ ეს არ გამომდინარეობს ამ ორგანიზაციის საქმიანობის მიზნიდან;
- ზღვრულ ოდენობაზე მეტი ღია მიზნის განეული წარმომადგენლობითი ხარჯი.

რამდენს შეადგენს მოგების მაღალაბადის განაპვეთი და რომორ ისნორარიშება მოგების გადასახადით დასაბემრი თანხა?

მოგების გადასახადის განაკვეთია 15 პროცენტი. მოგების გადასახადით დასაბეგრი თანხა მიიღება დაბეგვრის ობიექტის მიხედვით განხორციელებული განაცემის/განეული ხარჯის ოდენობის 0,85-ზე გაყოფის შედეგად.

მოგების გადასახადი იანგარიშება შემდეგი ფორმულით:

$$\frac{\text{დაბეგვრის ობიექტი}}{0,85} \times 15\%$$

რომორ განისაზღვრება მოგების მაღალაბადით დაბეგვრის ობიექტი სრულადი ფორმით მადაბედების/განაცემების მანხორციელებისა?

გადახდების/განაცემების არაფულადი ფორმით განხორციელების შემთხვევაში მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტი განისაზღვრება მიწოდებული საქონლის/განეული მომსახურების საბაზრო ფასით, ხოლო თუ მიწოდებული საქონლის/განეული მომსახურების საბაზრო ფასი დღვ-ს მოიცავს – საბაზრო ფასით, დღვ-ის გარეშე.

როდეს იგემრება განეული ხარჯი ან მანხორციელებული მანაცემი?

სარჯების განვის და სხვა გადახდების/განაცემების განხორციელების მომენტად ითვლება მათი ფაქტობრივად განვის/განხორციელების მომენტი. შესაბამისად, ასეთი დაბეგვრის ობიექტები მოგების გადასახადით იბეგრება იმ საანგარიშო თვეში, როცა დადგა მათი ფაქტობრივი განვის/განხორციელების მომენტი.

რომელ საწარმოზე ვრცელდება სამადასახადო შედაგათი მოგების მადაბედი?

მოგების გადასახადისგან გათავისუფლებულია ცალკეული შემთხვევებში მიღებული მოგების განაწილება/განეული ხარჯი/განხორციელებული განაცემი. მათ შორის:

► თობ-ის საწარმოს მიერ თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში ნებადართული საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები;

► 2023 წლის 1 იანვრამდე სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივის მიერ საქართველოში წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქციის სამრეწველო გადამუშავებამდე (სასაქონლო კოდის შეცვლამდე) პირველადი მიწოდებით მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები;

► მაღალმთიანი დასახლების საწარმოს მიერ ამავე მაღალმთიან დასახლებაში საქმიანობიდან მიღებული მოგების განაწილება და ამავე საქმიანობის ფარგლებში განეული ხარჯები/განხორციელებული განაცემები – შესაბამისი სტატუსის მინიჭებიდან 10 კალენდარული წლის განმავლობაში (სტატუსის მინიჭების კალენდარული წლის ჩათვლით).

რა შემთხვევებში და რა ოდენობით შეიძლება წარმოექმნას პირს ჩასათვლელი მოგების გადასახადი?

ჩასათვლელი მოგების გადასახადი შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგი ოდენობით იმ შემთხვევებში თუ:

► სანარმო ანანილებს დივიდენდს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშმ პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან - 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშმ პერიოდებშის მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა იმ პროპრეციით რომელიც განისაზღვრება განაწილებული დივიდენდის წილით 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშმ პერიოდებში მიღებულ წმინდა მოგებაში, მაგრამ არაუმეტეს განაწილებული დივიდენდის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის თანხისა;

შენიშვნა: ანალოგიური წესით ხორციელდება კომერციული ბანკის, საკრედიტო კატეგორის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსის დაკარგვის შედგომ პერიოდებში სტატუსის დაკარგვამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას მოგების გადასახადის ჩათვლა.

► შეძენილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, აქციის/წილის ან მოთხოვნის მინოდების შედეგად განხორციელდა ანაზღაურება (თანხის ფაქტობრივად მიღება) - თანხის მიღების საანგარიშმ პერიოდში ფაქტობრივად ანაზღაურებული თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით;

► მოხდა გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნება ან გადახდილი ავანსის საანგვლოდ საქონლის/მომსახურების მიღება - სესხის/ავანსის თანხის დაბრუნების ან საქონლის/მომსახურების ფაქტობრივად მიღების საანგარიშმ პერიოდში დაბრუნებული თანხის ან მიღებული საქონლის/მომსახურების საკომპენსაციით თანხის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით;

► გუექმდა სესხის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფა - უზრუნველყოფის გაუქმების საანგარიშმ პერიოდში გაუქმებული საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის შესაბამისად გამოანგარიშებული მოგების გადასახადის ოდენობით.

რა შემთხვევაში ავსებს პირი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეპლარაციის III ნაწილის დანართ N1¹-ს?

დეკლარაციის III ნაწილის დანართი N1¹ ივნება 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას, ამავე საანგარიშმ პერიოდების მიხედვით დარიცხული მოგების გადასახადის გადახდა განხორციელდა ამავე საანგარიშმ პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდეგ შემთხვევებში, თუ:

► 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშმ პერიოდების მიხედვით დარიცხული მოგების გადასახადის გადახდა განხორციელდა ამავე საანგარიშმ პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ; ან/და;

► 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშმ პერიოდების მიხედვით მოგების გადასახადის დარიცხვა განხორციელდა ამავე საანგარიშმ პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ.

შენიშვნა: ჩასათვლელი თანხის კორექტირების მიზნით, დანართი ივსება ზემოაღნიშნული შემთხვევების დადგომის საანგარიშმ პერიოდის მიხედვით.

რა შემთხვევაში ავსებს პირი, მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის დანართი N 1²-ს?

მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის დანართი N 1² ივსება შემდეგი შემთხვევის დადგომისას:

- 1.შეძენილი სასესხო ფასიანი ქაღალდის, კაპიტალში მონაწილეობის უფლების (აქციის/წილის) ან მოთხოვნის მიწოდებისას;
- 2.გაცემული სესხის/გადახდილი ავანსის თანხის დაბრუნებისას ან გადახდილი ავანსის სანაცვლოდ საქონლის/მომსახურების მიღებისას;
- 3.სესხის საბანკო ანგარიშზე განთავსებული ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გაუქმებისას;

გადასახადის გადამხდელი დანართში აირჩევს საანგარიშო პერიოდს შესაბამისი გრაფის მითითებით, სადაც დაიბეგრა თანხა, ასევე შესამცირებელი (დასაბრუნებელი) მოგების გადასახადის გაანგარიშების მიზნით დანართ N 1²-ში ეთითება დაბეგრილი თანხა, ორმლის შესაბამისი მოგების გადასახადიც ექვემდებარება შემცირებას (დაბრუნებას) საანგარიშო პერიოდში.

რა შემთხვევაში ივსება მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის დანართი N¹³ და დანართი N¹⁴ ?

მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის დანართი N¹³ ივსება საანგრიშო მიერ კომერციული ბანკის, საკრედიტო კავშირის, სადაზღვევო ორგანიზაციის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის და სესხის გამცემი სუბიექტის სტატუსის დაკარგვის შემდგომ საანგარიშო პერიოდ(ებ)ში 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდ(ებ)ში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილებისას ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ჩასათვლელი თანხის გამოანგარიშების, ხოლო დანართი N¹⁴ - ამავე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხის მიხედვით ჩასათვლელი თანხის კორექტირების მიზნით.

ამასთან, ჩასათვლელი თანხის კორექტირების ფაქტი შესაძლებელია წარმოიშვას შემდეგ შემთხვევებში:

► 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით დარიცხული მოგების გადასახადის გადახდა განხორციელდა ამავე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ, ან/და

► 2017 წლის 1 იანვრიდან სტატუსის დაკარგვამდე საანგარიშო პერიოდების მიხედვით მოგების გადასახადის დარიცხვა განხორციელდა ამავე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან დივიდენდის განაწილების შემდგომ.

რა შემთხვევაში ავსებს პირი მოგების გადასახადის ყოველთვიური დეკლარაციის III ნაწილის დანართი N2-ს?

დეკლარაციის III ნაწილის დანართი N2 ივსება მარტის თვის საანგარიშო პერიოდის მიხედვით წარსადგენ დეკლარაციაში და მასში მიეთითება წინა კალენდარული წლის ბოლოს არსებული სასაქონლო-შატერიალური ფასეულობების ნაშთი და ძირითადი საშუალებების ნარჩენი საბალანსო ღირებულება (ბასს-ის მიხედვით).

რა შემთხვევაში ავსებს პირი მომების მადასახადის ყოველთვიური დეპლარაციის IV ნაწილს?

დეკლარაციის IV ნაწილი იქსება ტოტალიზატორის სისტემურ-ელექტრონული ფორმით მომწყობი პირის მიერ საქმიანობის ამ ნაწილში საანგარიშო თვის განმავლობაში მიღებული ფსონების კამის მიხედვით, რომელიც იბეგრება 7%-იანი განაკვეთით.

შენიშვნა: თუ პირი სათამაშო ბიზნესის გარდა სხვა საქმიანობას არ ახორციელებს, მათ, შორის არ ახდენს სხვა პირისაგან მიღებული დივიდენდის შემდგომ განაწილებას, იგი დეკლარაციის III ნაწილს არ აქვებს.



ყურადღება: ამომწურავი ინფორმაცია გადასახადით დაბეგვრის ობიექტებისა და ჩასათვლელი გადასახადის შესახებ იხილეთ საგადასახადო კოდექსის 97-98^გ მუხლებში.

(დეკლარაციის შექსების დეტალური ინსტრუქცია მოცემულია დეკლარაციის მოდულში)

მზამპლევში წარმოდგენილი ინფორმაცია მომზადებულია
2020 წლის 10 თებერვლისთვის მოქმედი პანონძდებლობის მიხედვით

📞 2 299 299
✉️ info@rs.ge
🌐 www.rs.ge